სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები მუნიციპალიტეტების სოციალური რეალობის ფორმირების პროცესში

კონსტანტინე აბულაძე
სტუ-ს პროფესორი

ლუბა კოზმავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირება შეუძლებელია ყოველდღიური კომუნიკაციების გარეშე. მათი ერთ-ერთი სახეობა – სოციალური კომუნიკაცია, სოციალური სუბიექტების ეფექტიანი სინქრონული და დიაქრონული თანამოქმედებაა.

სოციალურ დიალოგს, როგორც სოციალური კომუნიკაციის რეალურ ყოფიერებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისათვის. სწორედ კომუნიკაცია და ურთიერთობა გვევლინება სოციალურ-მარეგულირებელ და სოციალური კონსტრუირების ფაქტორად.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია, როგორც სისტემურად ორგანიზებული, გეგმური ოპერაციების, სტრუქტურებისა და პროცედურების ერთობლიობა, უზრუნველყოფს სოციალური სუბიექტის (თვითმმართველობების) მიერ მიზნის მიღწევას მართვადი სოციალური კომუნიკაციის მეშვეობით, რომლის საბოლოო ეფექტს განაპირობებენ ის ცვლილებები ინფორმაციის ადრესატის (მოსახლეობის) ქცევაში, რომლებიც მოხდება შეტყობინების მიღების შედეგად.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კომუნიკაცია, სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია, კომუნიკაციური პროცესის მოდიფიცირებული მოდელი

ძირითადი ტექსტი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირება შეუძლებელია სხვადასხვა სახის ყოველდღიური კომუნიკაციების გარეშე. მათი ერთ-ერთი სახეობა - სოციალური კომუნიკაცია, სოციალური სუბიექტების ეფექტიანი სინქრონული და დიაქრონული თანამოქმედებაა.

სოციალურ დიალოგს, როგორც სოციალური კომუნიკაციის რეალურ ყოფიერებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციისათვის. სწორედ კომუნიკაცია და ურთიერთობა გვევლინება სოციალურ-მარეგულირებელ და სოციალური კონსტრუირების ფაქტორად.

სოციალური კომუნიკაციის არსი - ინფორმაციის მოძრაობაა ერთი სუბიექტიდან (ინფორმაციის წყარო) - მეორემდე (ინფორმაციის მიმღები).

სოციალურ-კომუნიკაციური **ტექნოლოგია** კი არის სისტემურად ორგანიზებული, გეგმური ოპერაციების, სტრუქტურებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური სუბიექტის მიერ მიზნის მიღწევას მართვადი სოციალური კომუნიკაციის მეშვეობით.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის **ობიექტია** ფართო გაგებიით - სოციალური სივრცე და საზოგადოება, ვიწრო გამოყენებითი თვალსაზრისით კი - ეს არის სოციალური სუბიექტების აღქმა, რეაქცია, დამოკიდებულება კომუნიკაციის წყაროს მიმართ. ამრიგად, კომუნიკაციის საბოლოო ეფექტს განაპირობებენ ის ცვლილებები ინფორმაციის ადრესატის ქცევაში, რომლებიც მოხდება შეტყობინების მიღების შედეგად.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის **საგანია** - კომუნიკაციების გამოყენებით ორგანიზებული, კომუნიკაციის ობიექტების მართვის სისტემური პროცესი.

ამრიგად, სოციალური კომუნიკაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ობიექტი ან საგანი. ის არის მხოლოდ ინსტრუმენტი, მიზნის

მიღწევის საშუალება კომუნიკაციის ობიექტზე ზეგავლენის პროცესში. ეს არის პროცედურების, მოქმედებათა, საშუალებებისა და სოციალური რესურსების სისტემა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის პროცესში გაანალიზებულია სოციალური კომუნიკაციის მოდელების ხარისხობრივი მაჩვენებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაკთა კომუნიკაციური კომპეტენტურობის კრიტერიუმები, სოციუმის საინფორმაციო ველში კომუნიკაციური პროცესების მოდელირების თეორიულ მეთოდოლოგიური პრინციპები.

განსჯა. სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის მექანიზმი შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს მოიცავს:

1. კომუნიკაციური სიტუაციის შეფასება;
2. სუბიექტის შერჩევა შესაძლო თანამოქმედებისათვის;
3. წინასწარ შერჩეული სუბიექტის „შეყვანა“ კომუნიკაციურ სიტუაციაში;
4. პარტნიორი-სუბიექტის შერჩევა (აუცილებლობის შემთხვევაში);
5. კომუნიკაციური მენეჯმენტის ამოცანათა ფორმულირება;
6. კომუნიკაციური თანამოქმედების საერთო ფონის ფორმირება;
7. პარტნორთა კომუნიკაციური თანამოქმედების სტიმულირება.

თითოეულ მათგანს განსაზღვრავენ:

- ურთიერთობათა ინიციატორი სუბიექტები;
- ინიციატივის ადრესატი სუბიექტები;
- ურთიერთობათა ორგანიზაციის ნორმები;
- ურთიერთობათა მონაწილეების მიზნები;
- კომუნიკაციურ ურთიერთობათა სიტუაცია.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ სოციალური კომუნიკაციის ფუნქციებთან დაკავშირებულ კვლევებში მკაფიოდ არ არის გამიჯნული ორი პრობლემა: სოციალური კომუნიკაციის ფუნქციები და სოციალური კომუნიკაციის **საშუალებათა** ფუნქციები.

სოციალური კომუნიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული შეტყობინებათა შინაარსთან, მათ მრავალმხრივ საზოგადოებრივ მნიშვნელობასთან, სოციალური კომუნიკაციის **საშუალებათა** ფუნქციები კი - ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ტექნიკურ, საგნობრივ, ენერგეტიკული მექანიზმებს უკავშირდება.

სოციალური კომუნიკაციის ძირითადი კომპონენტებია: სუბიექტი, ობიექტი, საშუალებები, პროცესი (როგორც პირველადები), პირობები, შედეგი, სისტემა, გარემო (როგორც მეორადები).

სოციალური კომუნიკაციის აუდიტორია, როგორც ინფორმაციული ზეგავლენის ობიექტი, ორ ნაწილადაა დაყოფილი - მასობრივი და სპეციალიზებული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამგვარი დიფერენციაციის საფუძველია რაოდენობრივი კრიტერიუმი. თავისთავად, **მასობრივი აუდიტორია** ორ ჯგუფს მოიცავს: **პირველია** - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის ყველა მომხმარებელი, ხოლო მეორე - იმ ადამიანების შეთხვევითი გაერთიანება, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო პროფესიული, ასაკობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ინტერესები. **სპეციალიზებული აუდიტორია** გულისხმობს საერთო ინტერესებით, მიზნებით, ფასეულობათა სისტემით, ცხოვრების სტილით, სოციალური, კულტურული, პროფესიული, დემოგრაფიული და სხვა ნიშნით გაერთიანებულ მრავალ ინდივიდს. აუდიტორიის სტრუქტურირების, მასში სეგმანტების გამოყოფის უნარი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომუნიკაციის წარმატებას მიუხედავად მისი ფორმისა (საარჩევნო კაპანია, პარტიული პროპაგანდა, რეკლამა, კულტურული ან სხვა ღონისძიებები). ამ ჯგუფებისგან თითოეული, მოითხოვს შესაბამის სტრატეგიას, ინფორმირების მეთოდებსა და ურთიერთობის ფორმებს.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის რეალიზაციის სოციალური სუბიექტებია სოციალური გაერთიანებები (საზოგადოებრიობის მიზნობრივი ჯგუფები), აგრეთვე სოციალური ორგანიზაციები და სოციალური ინსტიტუტები.

მიუხედავად სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების სუბიექტებისა და ინსტრუმენტების ფართო სპექტრისა, მათ აერთიანებთ საერთო ნიშან-თვისებები:

- მიზნმიმართულობა;
- სტრუატურიზაცია;
- ოპერაციები, სტადიები, ფაზები;
- მოქმედებათა კოორდინაცია და ეტაპობრივობა.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია ძალზე რთული და მრავალწახნაგიანი პროცესია, რომლის მიზნის მიღწევა შეუძლებელია დიდი ძალისხმევისა და კოორდინირებული მოქმედებების გარეშე.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, კულტურული სფეროების მართვის რთული მრავალდონიანი სისტემა. ახალი დემოკრატიული ტენდენციები განაპირობებენ მოქალაქეთა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამოქმედებას, რაც შეუძლებელია სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიის, მოქალაქეებთან პირდაპირი და უკუკავშირების გარეშე.

ჩვენ ქვეყნაში გამოყენებული სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების - Local Government Relations (LGR) ანალიზი, გვიჩვენებს, რომ ისინი გარკვეულწილად განაპირობებენ ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. მიუხედავად ამისა საჭიროა, რომ სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია მაქსიმალურად სწრაფად და ზუსტად გადაცემდეს მონაცემებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რეაგირების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე (უკუკავშირი).

ახალი ტიპის სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში, უთუოდ ჩამოაყალიბებს მოსახლეობასთან მათი თანამოქმედების ახალ ვექტორებს. იგი მკაფიოდ გამსაზღვრავს აგრეთვე მმართველობითი ფუნქციების რეალიზაციის მექანიზმებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოითხოვს ახალ მიდგომას ადამიანის და საზოგადოებრივი ჯგუფების როლისა და ადგილის ახლებურად გააზრებისადმი.

სოციალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებისთვის საჭიროა ისეთი ორმხრივი სიმეტრიული კომუნიკაციური მოდელის აგება, რომელიც უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას, როგორც მოსახლეობასთან ნდობით აღსავსე ურთიერთობათა საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის პირველი მოდელი არისტოტელეს მიერაა შექმნილი. იგი უნივერსალურია - ასახავს კომუნიკაციის აქტს, როგორც ზეპირი, ასევე წერითი ფორმით. პოლიტიკის საფუძვლად არისტოტელეს მიაჩნდა ურთიერთობათა სხვადასხვა ფორმით განხორციელებული კოლექტიური საქმიანობა. აღნიშნული მოდელის ელემენტები, თუმცა შეცვლილი სახით, სოციალური კომუნიკაციის მრავალ მოდელშია გამოყენებული.

ძველ რომში, კომუნიკაციის როლს სახელმწიფო მმართველობაში, ხაზგასმით აღნიშნავდა ციცერონი. სწორედ მან განსაზღვრა საჯარო კომუნიკაციური აქტივობა, როგორც პოლიტიკური საქმიანობის დამოუკიდებელი ფორმა[1].

კომუნიკაციის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ანალიზს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 1940-1960 წლების პერიოდში. კომუნიკაციის კლასიკური მოდელების ავტორების (ჰ. ლასუელის, პ. ლაზარსფელდის, თ. ნიუკომბის, უ. შრამის და ჩ. ოსგურის, კ. შენონის და უ. უივერის, ჯ. გრუნინგის და ტ. ჰანტის), აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობებისადმი კომუნიკაციის კლასიკური მოდელების რელევანტურობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჭიროა კომუნიკაციის არსებული მოდელების ხელახალი გააზრება, მათი ადაპტაცია ადგილობრივი თვითმმართველობიდს თანამედროვე პრობლემებისადმი.

სოციალურ ტექნოლოგიის პროცესში ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ე. წ. **ინტერაქტიული ან წრიული** მოდელი, რომლის მნიშვნელოვანი ელემენტია უკუკავშირი - მიმღების რეაქცია შეტყობინებაზე, რომელიც საპასუხო ინფორმაციაში აისახება.

უკუკავშირის მექანიზმის გამოყენება ნათელი დემონსტრირებაა სოციალური კომუნიკაციის წრისებრი ბუნებისა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თანმიმდევრულად იცვლება შეტყობინების გამგზავნისა და მიმღების როლები. წრიული მოდელი ასახავს სოციალურ კომუნიკაციას, როგორც დისკრეტული აქტების რიგს, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. ამ სისტემის მთავარი ელემენტია შეტყობინების გამგზავნი, ვინაიდან სწორედ მასზეა დამოკიდებული ინფორმაციის მიმღების რეაქცია.

სოციალურ ტექნოლოგიის პროცესში ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია კიდევ ერთი მოდელი - **ე.წ. ტრანსაქციული,** რომელიც ასახავს სოციალურ კომუნიკაციას, როგორც შეტყობინების ერთდროულად გაგზავნისა და მიღების პროცესს, სადაც ადამიანთა ურთიერთობები ყალიბდება სწორედ მათი მუდმივი თანამოქმედების შედეგად [2].

სოციალური კომუნიკაციის თანამედროვე მოდელები მუდმივად მოითხოვენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კომუნიკაციური საქმიანობის კომპონენტის განახლებას [3].

კვლევის პროცესში გაანალიზებულია მოდელების ხარისხობრივი მაჩვენებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაკთა კომუნიკაციური კომპეტენტურობის კრიტერიუმები, სოციუმის საინფორმაციო ველში კომუნიკაციური პროცესების მოდელირების თეორიულ მეთოდოლოგიური პრინციპები.

ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა კომუნიკაციური პროცესის მოდიფიცირებული მოდელი, რომლის აგების ძირითადი ფაქტორებია - მოქალაქეთა მოთხოვნა, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკთა უნარი, მათი საქმიანობის შედეგები, მოსახლეობასთან ურთიერთობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის თანამოქმედების სტრუტურულ-ფუნქციონალური მოდელი (იხ. ნახ. 1)

თანამოქმედების მახასიათებლები		
თანამოქმედების მიმართულება	**ფორმები და არხები**	**ეფექტიანობის შეფასების პარამეტრები**
მუნიციპალური წარმონაქმნის სიცოცხლისუნარიანობის სფეროების მართვა (სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ.)	მუნიციპალური არჩევნები	ხელისუფლებისადმი ელექტორატის ნდობის დონე. სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტიანობა.
	ადგილობრივი რეფერენდუმი/ პლებისციტი	რეფერენდუმებზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, მათი ეფექტიანობა.
	მოსახლეობის სამართლებრივი ინიციატივა	სამოქალაქო ინიციატივების, მოსახლეობის მიმართვების (გამოხმაურების) რაოდენობა.
	მოსახლეობის გამოკითხვა	მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობა.
მოსახლეობასთან ერთობლივი მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში (სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ.)	კრებები (შეკრებები), კონფერენციები, მიმართვები	მიმართვების, გადაჭრილი სოციალური პრობლემების რაოდენობა,
	სოციალურ-პოლიტიკური აქციები	მონაწილეთა რაოდენობა. აქციების მიზანმიმართულობა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა საკითხების გადაჭრისკენ. მოსახლეობის კმაყო9ფილება აქციების შედეგებით. გადაჭრილი პრობლემების რაოდენობა.
	არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორის (აოს) თანამოქმდების განვითარება-გაფართოება	(აოს) აქტივობის დონე. (აოს) განვითარების, მათი რაოდენობის ზრდის ტენდენცია. მათ მიერ სოციალური საკითხების მოცვა. ხელისუფლების ნდობა (აოს) მიმართ.

დასკვნა

სოციალური კომუნიკაცია, სოციალური დიალოგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობას, მართვას, კონტროლს.

კომუნიკაციის როლი თვითმმართველობის სისტემაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ინფორმაციის გაცვლა გამოიყენება მმართველობით საქმიანობაში და წინაპირობაა მმართველობითი რგოლისა და მოსახლეობის თანამოქმედებისა, საზოგადოებრივი კონსესუსისა.

სოციალური კომუნიკაციის თანამედროვე მოდელები მუდმივად მოითხოვენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კომუნიკაციური საქმიანობის კომპონენტის განახლებას, დახვეწას, რომლის მთავარი მიზანი – სოციალური კომუნიკაციის **ტრანსაქციულობაა** – შეტყობინების გაგზავნისა და მიღების პროცესის სინქრონულობა, სადაც ადამიანთა ურთიერთობები ყალიბდება სწორედ მათი მუდმივი თანამოქმედების შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ციცერონი, მარკუს ტულიუს. მოვალეობათა შესახებ. თბილისი: ლოგოსი.2016.
2. ინტერპერსონალური კომუნიკაციები სოციალურ სფეროში. სოციალური კომუნიკაციის სახეები და საშუალებები. https://ik-ptz.ru/ka/diktanty-po-russkomu-yazyku--2-klass/mezhlichnostnye-kommunikacii-v-socialnoi-sfere-vidy-i-sredstva-socialnoi.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.05 2020
3. პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოება., http://www.socium.ge/downloads/politikurisociologia/politikuri-komunikacia-da-sazogadoeba.pdf
4. Чекушкина Е. Н. КОММУНИКАТИВНАЯ ТЕОРИЯ Ю. ХАБЕРМАСА И КУЛЬТУРА ИНФОРМАЦИОННОГО ОБЩЕСТВА., Журн. Теория и практика общественного развития.,2014 ВАК
5. Никлас Луман- Реальность массмедиа t.1., https://gtmarket.ru/laboratory/basis/3001
6. Юрген Хабермас- Моральное сознание и коммуникативное действие 4) Юрген Хабермас, Хрестоматия- Знание. Собственность и Власть. 5) Учение Никласа Лумана о коммуникации

Social Communication Technologies in the process of forming the social reality of municipalities

Konstantine Abuladze, Professor of GTU,

Luba Kozmava, PhD student of GTU

Summary

The functioning of local self-government bodies is impossible without daily communications. One of their types is social communication, effective synchronous and diachronic cooperation of social subjects.

Social dialogue, as the real existence of social communication, is of great importance for the stabilization of public life. It is communication and relationship that is a factor in social-regulatory and social construction.

Social-communication technology, as a system of systematically organized, planned operations, structures and procedures, ensures the achievement of the goal by the social subject (self-government) through managed social communication, the final effect of which is changes in the behavior of the addressee (population).

Keywords: social communication, social-communication technology, modified model of communication process.